



თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო
TELAVI MUNICIPALITY COUNCIL



განკარგულება:გ-27. 272236213

თარიღი:28/12/2022

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 62

28 დეკემბერი 2022 წ.

ქ. თელავი

თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, 108-ე მუხლისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად,

1. გადაეცეს სახელმწიფოს საკუთრებაში უსასყიდლოდ თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შემდეგი უძრავი ქონება:

ა) სოფელ თეთრიწყლებში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 426 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: 53.13.31.488) და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა;

ბ) სოფელ შალაურში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 124 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: 53.06.41.037) და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა;

გ) სოფელ ფშაველაში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 268 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: 53.16.44.315) და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა;

დ) სოფელ კისისხევში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 394 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: 53.04.38.456) და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა;

ე) სოფელ ქვემო ხოდაშენში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 366 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: 53.02.35.418) და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა;

ვ) სოფელ ნაფარულში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 340 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: 53.14.36.385) და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა;

ზ) სოფელ რუისპირში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 401 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: 53.11.44.123);

თ) სოფელ ლალისყურში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 230 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: 53.16.31.435);

ი) სოფელ ვანთაში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 250 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: 53.01.47.017.602);

კ) სოფელ ბუშეტში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 200 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: 53.02.43.256).“.

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 30 ნოემბრის №58 განკარგულება „თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ“.

3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

4. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში, მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. თელავი, დავით აღმაშენებლის გამზ. №41).

თენგიზი მთვარელიშვილი

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

